

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა სასამართლოსადმი მიმართვის უფლების შეზღუდვის თაობაზე (საქმე #ა-998-ა-7-2011).

აღნიშნული სამოქალაქო საქმე ეხებოდა ა.დ-შვილის განცხადებას, რომლითაც იგი მოითხოვდა კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებაზე საქმის წარმოების განახლებას.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესაძლებლობა სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით. ამ ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას და ამ მიზნით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციაში. მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბრად იცვას ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს. ერთი მხარის მიერ უფლების გადამეტება (ზოროტად გამოყენება) პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს, თუნდაც დავის გაჭიანურების თვალსაზრისით.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – იედემსკი და იედემსკა პოლონეთის წინააღმდეგ) დასაშვებად მიიჩნევს, გარკვეულ შემთხვევაში პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას. კერძოდ, ევროპული სასამართლოს განმარტებით, დასაშვებია გამონაკლისი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენებისას. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალებების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის.

საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა ათზე მეტი განცხადება შეიტანა საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით ერთსა და იმავე საქმეზე. პალატამ მიიჩნია, რომ განმცხადებლის ასეთი სახის მოქმედებები არ ემსახურებოდა სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ამოცანას და იგი მიზნად ისახავდა საქმის განხილვის ხელოვნურად გაჭიანურებას. პალატამ აღნიშნა ასევე, რომ სასამართლოში შეტანილი განცხადებები შინაარსობრივად ეთრგვაროვანი იყო და თითოეული მათგანი წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ დავის გაგრძელებისა და საქმის სასამართლოს წარმოებაში ყოფნის გახანგრძლივების მცდელობას. აღნიშნული კი, პალატის

მოსაზრებით, სცილდებოდა მართლმსაჯულების და, მითუმეტეს, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელი ბოროტად იყენებდა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, ვინაიდან მისი განცხადებები და საჩივრები მიზნად არ ისახავდა მხარის კანონიერი უფლების დაცვას და ლახავდა მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. შესაბამისად, პალატამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ განმცხადებელს უნდა შეზღუდვოდა მოცემულ საქმეზე სასამართლოსათვის მიმართვის უფლება, კერძოდ, რეაგირების გარეშე უნდა დარჩენილიყო მოცემულ დავაზე მის მიერ შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპოდენცია (განცხადება, საჩივარი).

საქმე №ა-998-ა-7-2011
№ა-998-ა-7-2011 ლ-შვილი

19 მაისი, 2011 წელი
ქ.თბილისი

სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა:

მ. სულხანიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი)
ვ. როინიშვილი, თ. თოდრია

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი მოსმენის გარეშე

განმცხადებელი – ა. ლ-შვილი

მოწინააღმდეგე მხარე – სს „თ-ი“

გასაჩივრებული განჩინება – საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინება

განმცხადებლის მოთხოვნა – გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, საქმის წარმოების განახლება

დავის საგანი – ბრძანების გაუქმება, სამუშაოზე აღდგენა, იძულებითი განაცდურის ანაზღაურება

ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 დეკემბრის განჩინებით ა. ლ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ქ.თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 19 სექტემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, რაც განმცხადებელმა გაასაჩივრა კერძო საჩივრით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა ა. ლ-შვილის განცხადება საქმის განხილვიდან მოსამართლე თ. ე-შვილის ჩამოცილების შესახებ, ამავე სასამართლოს 2011 წლის 15 თებერვლის განჩინებით კი, ა. ლ-შვილის განცხადება ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელების შესახებ არ დაკმაყოფილდა, ხოლო მისი კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად სასამართლოს მიერ დადგენილი ხარვეზის გამოუსწორებლობის მოტივით.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 2 თებერვლისა და 15 თებერვლის განჩინებებზე კერძო საჩივარი შეიტანა ა. ლ-შვილმა. კერძო საჩივრის ავტორმა მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მეორე ნაწილზე და მოითხოვა 2011 წლის 15 თებერვლისა და 2 თებერვლის განჩინების გაუქმება, რომლითაც მას ეთქვა უარი საქმის განხილვისაგან მოსამართლე თ. ე-შვილის აცილებაზე, ხოლო მისი კერძო საჩივარი დარჩა განუხილველად.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინებით ა. ლ-შვილის კერძო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 2 თებერვლისა და 15 თებერვლის განჩინებებზე დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო.

ა. ლ-შვილმა განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება შემდეგი საფუძვლებით: გასაჩივრებული განჩინების შესავალ ნაწილში არასწორად მიეთითა ა.ლ-შვილის მატერიალურ-სამართლებრივი მოთხოვნა. ამავე განჩინების აღწერილობით ნაწილში არასწორადაა მითითებული, რომ 2011 წლის 15 თებერვლის განჩინებით არ დაკმაყოფილდა განცხადება ხარვეზის შევსებისათვის დადგენილი ვადის გაგრძელების შესახებ, ხოლო სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ უკანონოდ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 401-ე მუხლის მხოლოდ პირველი წინადადება. ფაქტობრივად, მომხსენებელი მოსამართლე ერთპიროვნულად წყვეტს მხოლოდ საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხს, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება კანონდარღვევითაა მიღებული.

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიიჩნევს, რომ ა. ლ-შვილის განცხადება არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო აღნიშნულ საქმეზე ა. ლ-შვილის მიერ სასამართლოში სამომავლოდ შემოტანილი ყველა განცხადება თუ საჩივარი უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი ადგენს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტურ პრინციპს პირის მიერ უფლების სასამართლო წესით დაცვის შესახებ. აღნიშნული ნორმის მიხედვით, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

კანონის დასახელებული დანაწესი გულისხმობს პირის უფლებას, დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები სასამართლოს მეშვეობით. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მხარემ მართლზომიერად გამოიყენოს აღნიშნული უფლება, იდავოს ისეთ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტაც უზრუნველყოფს მისი დარღვეული უფლების აღდგენას და ამ მიზნით გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილებები ზემდგომ ინსტანციაში.

მხარის მიერ სასამართლოსათვის მიმართვის უფლების რეალიზებისას სასამართლო თანაბარწილად იცავს ორივე მოდავე მხარის კანონიერ ინტერესებს. ერთი მხარის მიერ უფლების გადამეტება (ბოროტად გამოყენება) პირდაპირ ხელყოფს მეორე მხარის უფლებებს თუნდაც დავის გაჭიანურების თვალსაზრისით. სასამართლო ვალდებულია გონივრულ ვადაში გადაწყვიტოს დაწყებული დავა და დაუსვას მას საბოლოო წერტილი. მოცემულ შემთხვევაში კი მხარის დაუსრულებელი განცხადებებით თუ საჩივრებით ამ შედეგის მიღწევა სცილდება სასამართლოს შესაძლებლობებს. შესაბამისად, ილახება მეორე მხარის ინტერესები.

ზემოაღნიშნულის გამო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაც კი (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე – იედემსკი და იედემსკა პოლონეთის წინააღმდეგ) დასაშვებად მიიჩნევს, გარკვეულ შემთხვევაში პირის სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.

სასამართლოს განმარტებით, დასაშვებია გამოჩაკლისი „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის“ მე-6 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული სამოქალაქო უფლებებისა და ვალდებულებების დასაცავად მომჩივანი მხარის სასამართლოს ხელმისაწვდომობის ეფექტური უფლების გამოყენებისას. სასამართლოსათვის მიმართვის უფლების შეზღუდვა შეესაბამება კონვენციის მე-6 მუხლის პირველ ნაწილს, თუ ის ისახავს კანონიერ მიზანს და არსებობს გონივრული თანაფარდობა ამ საშუალებების გამოყენებასა და კანონიერ მიზანს შორის.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელმა ა. ლ-შვილმა სრულად ისარგებლა სასამართლოსათვის მიმართვის უფლებით, კერძოდ, ქთბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ ჯერ კიდევ 2002 წლის 19 სექტემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით არ დააკმაყოფილა შრომით-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე მისი სარჩელი სს „თ-ის“ მიმართ. აღნიშნულის

შემდგომ მოსარჩელე განუწყვეტლივ მიმართავდა სასამართლოს საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით

2007 წლიდან დღემდე ა. ლ-შვილმა ათზე მეტი განცხადება შეიტანა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო ან ბათილობის მოტივით მოცემული საქმის წარმოების განახლების შესახებ. სასამართლოს მიერ სხვადასხვა სამართლებრივი საფუძვლით მისი განცხადებების განუხილველად დატოვების შემდეგ მხარემ შეიტანა არა ერთი კერძო საჩივარი, რომელთა დაუკმაყოფილებლობის თაობაზე სასამართლო განჩინებებს ა.ლ-შვილი კვლავ ასაჩივრებდა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განცხადებების შეტანის გზით.

განსახილველი განცხადებაც ეხება სწორედ საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინებას, რომლითაც განუხილველად დარჩა მისი კერძო საჩივარი სააპელაციო პალატის 2011 წლის 2 თებერვლისა და 15 თებერვლის განჩინებებზე.

ა. ლ-შვილის ასეთი სახის მოქმედებები ემსახურება არა მართლმსაჯულების განხორციელების ამოცანას, არამედ იგი მიმართულია მისი მოწინააღმდეგე მხარისა და სასამართლო ორგანოების მიმართ აგრესიული დამოკიდებულების წარმოსაჩენად. ამასთან, სასამართლოსათვის მიმართული მისი განცხადებები შინაარსობრივად ერთგვაროვანია და თითოეული მათგანი წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ დავის გაგრძელებისა და საქმის სასამართლოს წარმოებაში ყოფნის გასანგრძლივების მცდელობას. აღნიშნული კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სცილდება მართლმსაჯულების და მითუმეტეს, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელების ფარგლებს.

რაც შეეხება განსახილველ განცხადებას, პალატა, ისევე როგორც არაერთხელ, ამ შემთხვევაშიც განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 421-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით ან განჩინებით დამთავრებული საქმის წარმოების განახლება დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს გადაწყვეტილების ბათილად ცნობის (422-ე მუხლი) ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ (423-ე მუხლი) განცხადების წინამძღვრები.

მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს, რომ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებისა თუ განჩინების გაუქმების ან ბათილად ცნობის შესახებ განცხადება შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ კანონით – სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე და 423-ე მუხლებით ზუსტად განსაზღვრულ წინამძღვრებს. აღნიშნულ დათქმაში კანონმდებელი გულისხმობს, რომ საქმის წარმოების განახლება სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრების მორიგ ეტაპს არ წარმოადგენს, არამედ დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში, კანონით ზუსტად განსაზღვრული წინაპირობების არსებობისას.

მოცემულ შემთხვევაში განმცხადებელი აკრიტიკებს საკასაციო სასამართლოს 2011 წლის 21 მარტის განჩინების შესავალ, აღწერილობით და სამოტივაციო ნაწილებს და უკმაყოფილებას გამოთქვამს მის დასაბუთებასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის ზემოხსენებული ნორმები კანონიერ ძალაში შესული განჩინების გაუქმების ასეთ საფუძველს არ შეიცავს, რის გამოც ა.ლ-შვილის განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე ისევე, როგორც უკვე განხილული წინა შემთხვევები, დაფუძნებულია მის სუბიექტურ შეხედულებებზე სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების თაობაზე და არ გამომდინარეობს საპროცესო სამართლებრივი შეფასებებიდან.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ლ-შვილი ბოროტად იყენებს სასამართლოსათვის მიმართვის უფლებას, რადგან მისი განცხადებები და საჩივრები, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, მიზნად არ ისახავს მხარის კანონიერი უფლების დაცვას და ლახავს მოწინააღმდეგე მხარის ინტერესებს. საკასაციო სასამართლო ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ა. ლ-შვილი აწარმოებს არა ერთ დავას სასამართლოში, სადაც ანალოგიურად მიმართავს სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს საქმის წარმოების განახლების თაობაზე. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მიზანშეწონილი და მართებულია ა. ლ-შვილის მიმართ განსახილველ საქმეზე სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით მინიჭებული უფლების შეზღუდვა. აღნიშნული კი იმაში გამოიხატება, რომ ა. ლ-შვილის მიერ სასამართლოში მოცემულ დავაზე შეტანილი ნებისმიერი სახის კორესპოდენცია (განცხადება, საჩივარი) დარჩება რეაგირების გარეშე.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 430-ე, მე-2 მუხლებით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

ა. ლ-შვილის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 21 მარტის განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განაზღვრის თაობაზე არ დაკაყოფილდეს.

ა. ლ-შვილის მიერ სასამართლოში შეტანილი ნებისმიერი სახის კორექსიონი (განცხადება, საჩივარი) სამოქალაქო საქმეზე – ა. ლ-შვილის სარჩელის გამო სს „თ-ის“ მიმართ სამუშაოზე აღდგენის, ბრძანების გაუქმებისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ დარჩეს რეაგირების გარეშე.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.